



საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№8-9

პერიოდული გამოცემა
2015 წ. აპრილ-მაისი



გამოცემულია ევროკავშირის პროექტის
„საქართველოს სახალხო დამცველის
აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი
ზურა ნაცვლიშვილი

ცხელი ზაფხულის მიუხედავად, აგვისტოსა და შემდგომ სექტემბერშიც, საკმაოდ დიდი მუშაობა გავწიეთ. ორ თვეში 11 რეკომენდაცია და წინადადება მოვამზადეთ და რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს გავუგზავნეთ; 9 საჯარო განცხადება გავავრცელეთ, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხებთან დაკავშირებით. მოქალაქეთა 1 276 მომართვაზე დავინყეთ საქმისწარმოება. ამას ემატება ის საქმეები, რომელთა შესწავლაც ჩვენი ინიციატივით დავინყეთ. ჩავატარეთ მონიტორინგი რამდენიმე დახურულ ინსტიტუციაში და მოვამზადეთ საპუბლიკური ანგარიშები; ავიყვანეთ 6 ახალი თანამშრომელი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 24 სექტემბერს გამართული **შეხვედრა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან**. სასიამოვნოა, რომ ჩემი ინიციატივა მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული სამუშაო შეხვედრის შესახებ, მონვეულმა სტუმრებმა დადებითად შეაფასეს და სამომავლოდ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილიც გამოთქვეს. შეხვედრების თემატიკა ადამიანის უფლებათა სფეროში მიმდინარე აქტუალური და პრიორიტეტული საკითხებით განისაზღვრება. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ინფორმაციის მუდმივი გაცვლისა და ადამიან-

შინაინსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება	1
2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს	3
3. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა	6
4. წარმატებული საქმეები	13
5. მნიშვნელოვანი თარიღები	14
6. საერთაშორისო სიხალაები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით	15
7. სახალხო დამცველის აპარატის ახალი	16
8. კონტაქტი	17

ის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო საზოგადოების მეტი ჩართულობის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობისა და კონსულტაციების გააქტიურების პერსპექტივებზე. განვიხილეთ დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის მიმდინარე სამუშაო, ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, სახალხო დამცველის ოფისის საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის დეტალები, ასევე ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასა და მასში ასახული პრობლემების შესრულების ხარისხი.



შხვედრა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

ლონისძიებაზე სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ახლადშექმნილი დეპარტამენტის ფუნქციები და 2015 წლის მარტიდან განხორციელებული საქმიანობა დეპარტამენტის უფროსმა ნიკო თათულაშვილმა წარმოადგინა.

იმავე დღეს, 24 სექტემბერს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს პრეზენტაცია** გაემართეთ. ვისაუბრეთ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების აუცილებლობაზე, საკონსულტაციო საბჭოს წევრების საქმიანობასა და პერსპექტივებზე. ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ საბჭომ, კონვენციის მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის სწორი ინდიკატორები უნდა განსაზღვროს.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს პირველი შეხვედრა

28 სექტემბერს დიპლომატიების, მედიის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე **ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის**, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარმოვადგინეთ. ანგარიშში ავსახეთ ჩვენი აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და ზედამხედველობის კუთხით კანონის მიღებიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით.



ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია

მართალია, კანონის იმპლემენტაციის ნაწილში ჩვენი ოფისის მიერ განუღმამ მუშაობამ ევროკავშირიდან დადებითი შეფასება მიიღო, თუმცა, დისკრიმინაციასთან ეფექტური ბრძოლისთვის საზოგადოების მეტი აქტიურობაა საჭირო. აქვე დაუზღუდებდი, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურობის ხელშეწყობისათვის ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკანონმდებლო წინადადებით უკვე მივმართე საქართველოს პარლამენტს.

აგვისტო—სექტემბრის თვეებში ჩვენი საქმიანობის ამსახველი მეტი დეტალები იხილეთ ქვემოთ.

2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებათა სახალხო მნიშვნელოვანი უფლებებისა და აღზრდის ტვიტმართვლოვის ორბანოვს

2.1. რეკომენდაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართ რეკომენდაციით, 1) შეისწავლონ ლაგოდების სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მოქალაქე ზ.მ.-ს საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული საკითხი და დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება; 2) უზრუნველყოთ დაინტერესებული პირების ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში; 3) უზრუნველყოთ ზ.მ.-ს დარღვეული უფლების აღდგენა.

მოქალაქე ზ.მ.-მ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლაგოდების სარეგისტრაციო სამსახურს უძრავი ნივთის რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა. განცხადებას თან დაურთო მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ელექტრონული ვერსიით და საარქივო ცნობები. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. თუმცა, იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ იმავე უძრავ ნივთზე სხვა მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა.

24 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს სახალხო დამცველს წერილობით აცნობა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლაგოდების სარეგისტრაციო სამსახურის შესაბამისი გადანყვეტილებების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და დაინიშნა ზეპირი მოსმენის სხდომა.

2.2. წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს ბრალდებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე

5 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს პოლიციის თანამშრომლების მიერ

ბრალდებულ ვ.ბ.-ს მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიების დანყების წინადადებით მიმართა.

შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაცორში განთავსებული ბრალდებულ ვ.ბ.-ს განცხადებით, მას ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონის მთავარ სამმართველოში, ხოლო შემდეგ ვარკეთილის პოლიციის განყოფილებაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მონახულებისას ბრალდებულს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა.

2.3. არასრულწლოვანი დავნილავის სასწოვრბელი ფართით უზრუნველყოფის რეკომენდაცია

6 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დევნილი არასრულწლოვნებისთვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე არასრულწლოვანი მ. და ლ. გ — ები მშობლების განქორწინების შემდეგ დედასთან ცხოვრობენ.

ბავშვების ბაბუას დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის წესით, კერძო საკუთრებაში გადასცა მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს ბავშვების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დაეკისრა. აღნიშნულის შესახებ ბავშვების დედა ინფორმირებული არ ყოფილა და არც ბაბუამ უზრუნველყო ისინი საცხოვრებელი ადგილით.

სახალხო დამცველმა შესაბამისი უწყებებიდან დევნილთათვის პრივატიზაციის პროცესის კანონის ფარგლებში წარმართვა და არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მოითხოვა.

2.4. წინადადება სასწოვლალსრულავისა და პრობასიის მინისტრს

6 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს სას-

ჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ცვლილებები შეიტანოს 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში, რათა პატიმარს უფლება მიენიჭოს შეინახოს და გამოიყენოს არა მხოლოდ სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლები, არამედ, მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, დისციპლინური სამართალწარმოების მასალების ასლები, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების მასალები, ასევე, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. * დღეისათვის, აღნიშნული დოკუმენტები მიეკუთვნება აკრძალულ ნივთთა კატეგორიას და მათი საკანში შენახვა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

რეკომენდაცია ამ დრომდე შესრულებული არ არის, რაც პატიმრებს მათი სხვადასხვა უფლებების რეალიზებაში უშლის ხელს.

2.5. წინადადება გააყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეებს, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ.

წინადადებაში საუბარია გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე სუფთა სასმელი წყლის მიწოდების პრობლემაზე, საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების მოგვარების აუცილებლობაზე; სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებასა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს უსაფრთხოების საკითხი, კერძოდ, შეზღუდულია მობილური კავშირი და არასაკმარისია პოლიციის საგუშაგოები, რაც შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის.

წინადადებაში საუბარია გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე სუფთა სასმელი წყლის მიწოდების პრობლემაზე, საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების მოგვარების აუცილებლობაზე; სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებასა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს უსაფრთხოების საკითხი, კერძოდ, შეზღუდულია მობილური კავშირი და არასაკმარისია პოლიციის საგუშაგოები, რაც შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის.

კომისიამ განიხილა სახალხო დამცველის წინადადება, უფრო დეტალურად ჩაუღრმავდნენ კონკრეტულ საკითხებს და კომისიის წევრი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები წარმოადგინეს.

2.6. რეკომენდაცია მედია საშუალების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ხასიათის ვალდებულების შესახებ

6 აგვისტოს რეკომენდაციით მიმართა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც უარი უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მიეკუთვნებოდა მათ პერსონალურ მონაცემს. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ სამსახურებრივი საკონტაქტო მონაცემების შესახებ ინფორმაციის დაფარვით, მედიასაშუალებას შეეზღუდა კანონმდებლობით მინიჭებული ინფორმაციის მიღების თავისუფლება.

ადმინისტრაციულმა ორგანომ კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მხოლოდ კორპორატიული ნომრები გადასცა, მათი ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართების მითითების გარეშე, რაც ვერ ჩაითვლება სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებად. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის 1 სექტემბრის წერილით, გამგებლის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ინფორმაციის მიწოდებაზე, ვინაიდან გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ მედიასაშუალების რედაქტორის მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ინფორმაციის თავისუფლების დარღვევის ამ და სხვა შემთხვევებს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სათანადო მსჯელობა მოყვება, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება, კონსტიტუციური გარანტიების პარალელურად, თანდათანობით გახდება ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილი.

2.7. წინადადება შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

26 აგვისტოს სახალხო დამცველმა სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ღონისძიებების უზრუნველყოფის წინადადებათ მიმართა საქართველოს მთავრობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან იმყოფებიან სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ, სრულწლოვანების ასაკის

მიღწევის შემდეგ იძულებული არიან დატოვონ შესაბამისი დაწესებულებები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების გარეშე. სახელმწიფო მათ არ სთავაზობს ადეკვატურ მხარდაჭერას, რის გამოც, სხვა სოციალურ—ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ისინი საცხოვრებლისა და შესაბამისი სერვისების გარეშე რჩებიან. შესაბამისად, ვერ ხერხდება მათ მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილი სარგებლობა.

2.8. რეკომენდაცია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

27 აგვისტოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების რეკომენდაციით მიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ძირითად საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ბავშვების უმეტესი ნაწილი, თავშესაფარში ცხოვრების პარალელურად, კვლავ აგრძელებს ქუჩაში მონყალების თხოვნას. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობელს ბავშვი თავშესაფრიდან გაჰყავს და მას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას აიძულებს.

სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას არასრულწლოვნებისათვის უსაფრთხო გარემო. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად: მონყალების თხოვნის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების თავშესაფრებში განთავსება და დაინყონ გამოძიება, დანაშაულის ნიშნების დროული იდენტიფიცირებისთვის.

2.9. წინადადება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე

31 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წინადადებით

მიმართა და მოითხოვა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლა; შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს სურდოთარგმანის, აუდიო დესკრიფციული მეთოდების, აფიშირებული ტექსტის, ბრაილის შრიფტის, ტაქტილური კომუნიკაციის, მსხვილი შრიფტის, მულტიმედიის, გამაძლიერებელი თუ ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა საშუალებების გამოყენება; შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა შპს პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

2.10. რეკომენდაცია პენიტენციური დაწესებულებების მალაზიითა მომარაგების შესახებ

4 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მალაზიით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს კახა კახიშვილს.

სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მალაზიების პროდუქციით მომარაგება საკმარისი სიხშირითა და რაოდენობით არ ხდება. შესაბამისად, პატიმრებს არ ეძლევათ საჭირო ნივთებისა და პროდუქტების შეძენის შესაძლებლობა. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მალაზიების სატელეფონო ბარათებით არასაკმარისი მომარაგება, რის გამოც, პატიმრები ოჯახის წევრებთან სატელეფონო ურთიერთობას ვერ ახერხებენ.

ის გარემოება, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მალაზიების მენეჯმენტს კერძო კომპანია ახორციელებს, არ ათავისუფლებს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნაკისრი ვალდებულებისგან, რომლის თანახმად, პატიმარი უნდა იმყოფებოდეს ღირსების შესაბამის პირობებში და ხელი მიუწვდებოდეს პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთებზე და საკვებ პროდუქტებზე.

16 სექტემბერს სახალხო დამცველს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრმა წერილობით შეატყობინა, რომ სამინისტრომ გააუქმა ხელშეკრულება ადრე მოქმედ კომპანიასთან და პენიტენციური დაწესებულებების მომარაგებას ახალი კომპანია აწარმოებს, რომ-

ლის მუშაობის მიმართაც ჯერ—ჯეროებით პატიმრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ამასთან, სამინისტროს მითითების საფუძველზე, ყველა დანესებულებაში შეიქმნა ლოკალური ჯგუფები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევს მაღაზიათა მომარაგების საკითხს და ნებისმიერი დარღვევა აღმოჩენისთანავე იქნება აღმოფხვრილი.

2.11. რეკომენდაცია თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს საავადმყოფოს საქანის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის აღფარების შესახებ

17 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს - დასახოს ერთიანი სამოქმედო პოლიტიკა და შეიმუშავოს შიდა დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში თავდგომასთან დაკავშირებით პაციენტთა და მშობელთა, მეურვეთა თუ წარმომადგენელთა მიმართ თანასწორი მოპყრობა.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ მოქალაქის მიმართ, მისი სქესის გამო პირდაპირი დისკრიმინაცია ჩაიდინა, ვინაიდან საავადმყოფოს ერთ—ერთ განყოფილებაში ავადმყოფი ბავშვის მამას თავმდგომად დარჩენის უფლება არ მისცეს. განყოფილების გამგე კატეგორიული წინააღმდეგი იყო განყოფილებაში მამაკაცის დარჩენის, იმ მოტივით, რომ ის შესაძლოა ნასვამ მდგომარეობაში მისულიყო.

შვილთან თავმდგომად დარჩენაზე უარი ეფუძნებოდა არა მომჩივანის ინდივიდუალური ქცევისაგან გამონვეულ საშიშროებას, წესრიგისა და პაციენტთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, არამედ საავადმყოფოში არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმად, მამაკაცებს არ აქვთ შვილთან პალატაში დარჩენის უფლება.

სავარაუდო რისკის არსებობის გამო, მამაკაცთა გამორიცხვა თავმდგომად დარჩენის უფლების მქონე პირთაგან, წარმოაჩენს არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას მამაკაცების ცხოვრების წესსა და ოჯახურ ცხოვრებაში მათ მონაწილეობაზე.

3. სახალხო დამცველისა და აპარატის ცალკეული სამსახურების საქმიანობა

3.1. კონფლიქტით დაზარალებული სოფლების მდგომარეობის განხილვა

1 აგვისტოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ განიხილა სახალხო დამცველის **17 ივლისის** წინადადება კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. კონკრეტულად, სახალხო დამცველის მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში, მედეა ტურაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებული ხარვეზები, საზღვრისპირა სოფლებში დაბინძურებული წყლის საკითხი, ბავშვების და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციის საჭიროება, სათანადო საცხოვრებლის უფლება, მათ შორის მიწის რეგისტრაციის საკითხი, და უსაფრთხოება.

კომისიის წევრმა სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები მიმოიხილეს.

3.2. შეხვედრა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარესთან

3 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის მოადგილეები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს ზაზა ვაშაყმაძეს შეხვდნენ და საქართველოში ადამიანთა რელიგიური უფლებების დაცვის სფეროში არსებულ ვითარებაზე, განვლილი პერიოდის რელიგიური დაპირისპირების განსაკუთრებულ ფაქტებსა და მათი გადაჭრის სავარაუდო გზებზე ისაუბრეს. ხაზი გაუსვეს სახალხო დამცველის აპარატსა და სააგენტოს შორის კოორდინირებული მუშაობის გაღრმავების აუცილებლობას და უახლოეს მომავალში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმდნენ, რაც ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას გახდის შესაძლებელს და სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით შეუფერხებლად სარგებლობის საშუალებას მისცემს.

3.3. სახალხო დამცველისა და სასაქალაქო უფლებებისა და პრობაციის მინისტრის შეხვედრა



შეხვედრა ახლად დანიშნულ სასაქალაქო უფლებებისა და პრობაციის მინისტრთან

3 აგვისტოს კახა კახიშვილმა სასაქალაქო უფლებებისა და პრობაციის მინისტრის რანგში თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან გამართა. მხარეებმა პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. განიხილეს, არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მე-7 დანესებულებაში არსებული პრობები, ვიდეოჩანანერების ხელმისაწვდომობა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების ხარისხის გაზრდა.

3.4. ადამიანის უფლებების საზაფხულო სკოლა სტამბულში

3-9 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სტამბულში ადამიანის უფლებების საზაფხულო სკოლა გაიმართა, რომელშიც ქართველმა, ოსმა და აფხაზმა იურისტებმა, უფლებადამცველებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა მიიღეს მონაწილეობა.

უცხოელმა ექსპერტებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის შესახებ აქტუალურ საკითხებზე, უმცირესობათა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებზე.

ეუთოს უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარიატის მიერ (OSCE HCNM) დაფინანსებული პროექტი სახალხო დამცველის საგანმანათლებლო ინიციატივების ნაწილია და მიზნად ისახავს, როგორც ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას, ასევე, კონფლიქტებით დაშორიშორებულ თემებს შორის ნდობის აღდგენასა და თანამშრომლობის ნახალისებას.

3.5. განხილვა ირაკლი ფირცხალავას კენიტივაციური დანახილვაში მონახილვასთან დაკავშირებით

4 აგვისტოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებას, რომ თითქოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს ე.წ. „კორტების საქმეზე“ ბრალდებული ირაკლი ფირცხალავა არ მოუნახულებიათ.

საქართველოს სახალხო დამცველს მიუღებლად მიაჩნია განცხადების გავრცელება ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების გარეშე, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა არაერთხელ მოინახულეს ბრალდებული ირაკლი ფირცხალავა. ასევე, შესაბამისი რეაგირება მოახდინეს ბრალდებულის საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

3.6. სენაკის სამხედრო ნაწილისა და სენაკის ჰაუზგვახტების მონიტორინგი

6-7 აგვისტოს პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამხედრო მოსამსახურეთა, წვევამდელთა და სამხედრო სარეზერვო მოსამსახურეთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის მიზნით სენაკის სამხედრო ნაწილისა და სენაკის ჰაუზგვახტების ერთობლივი მონიტორინგი ჩაატარეს.

3.7. განხილვა 2008 წლის აზვისტოს ომის შვიდი წლისთავთან დაკავშირებით

8 აგვისტოს სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ მიუხედავად აქტიური შეიარაღებული მოქმედებების დასრულებიდან შვიდი წლის გასვლისა, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს.

„დადგა დრო დაიწყოს შინაარსობრივი დისკუსია ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის ყველა მხარეს მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მათი ღირსებისა და უფლებების დაცვას, დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის დამოკიდებულებების

ტრანსფორმაციასა და ომის შედეგად მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ამისთვის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის მეტი კოორდინაცია და ჩამოყალიბებული სტრატეგიაა საჭირო. საქართველოს მოქალაქეებისათვის განკუთვნილი სიკეთეები, მათ შორის ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება და აშ. თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, მათი უფლებების რეალიზაციასა და კონფლიქტებით დაზარალებული საზოგადოებების განვითარებისა და დეიზოლაციისათვის“, — ნათქვამია განცხადებაში.

3.8. ანგარიში - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმარების მდგომარეობა საქართველოში“

8 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშის „ქალი და არასრულწლოვანი პატიმარების მდგომარეობა საქართველოში“ ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრნენ. პრეზენტაცია ბულგარეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და სახალხო დამცველთან პარტნიორობით მომზადდა.

3.9. გავლენითი შეხვედრა კახეთის რეგიონში გაეროს შშმ პირთა კონვენციისა და მისი მონიტორინგის ფარგლებში

9–10 სექტემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსი ირინე ობოლაძე და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რუსუდან კობოძე გასვლით შეხვედრაზე იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონში (სიღნაღი, თელავი).

შეხვედრებში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი კანონიერი წარმომადგენლები/მშობლები, საჯარო სკოლების პედაგოგები, თემაზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეებს გააცნეს ვიზიტის მიზანი და ისაუბრეს სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ, გაეროს შშმ პირთა კონვენციისა და მისი მონიტორინგის მექანიზმზე. დისკუსიის ფორმატში უპასუხეს მონაწილეთა შეკითხვებს, მიიღეს ინფორმაცია რეგიონში შშმ პირთა უფლებების

დაცვის კუთხით არსებული პრობლემების თაობაზე.

9 სექტემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსმა ირინე ობოლაძემ და დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან კობოძემ არაგვ-გმიური მონიტორინგი განახორციელეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში მდებარე ბრონლიანის სათნოების სახლში; მოინახულეს სათემო მომსახურების მიმღები პირები; გაესაუბრნენ დანესებულების ხელმძღვანელს და პერსონალს.

3.10. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციას არ გაითვალისწინა

13 აგვისტო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 17 ივლისის **რეკომენდაცია მოქალაქე გ.გ.—ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების კანონიერებასთან დაკავშირებით.**

ომბუდსმენს მიაჩნია, რომ მოქალაქისთვის მართვის უფლების ჩამორთმევისას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან ერთად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პრინციპებითა და ადმინისტრაციულ ორგანოთათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ჩაბარებისა და აღსრულების ფორმალური საერთო წესით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებათა მაქსიმალური დაცვა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

3.11. განხილვა ნაკალაღვის რაიონში კანდუსაზის დამონტაჟებასთან დაკავშირებით

თბილისის მუნიციპალიტეტის ნაკალაღვის გამგეობის ტერიტორიაზე, 4 საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟდა პანდუსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ანალოგიური სამუშაოები გრძელდება სხვა კორპუსებშიც. გავრცელებული ფოტო და ვიდეო—მასალიდან ნათლად ჩანს, რომ დამონტაჟებული კონსტრუქცია არ შეესაბამება უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტს და ვერ უზრუნველყოფს პირის დამოუკიდებლად გადაადგილებას.



ასაკაჟი აანდუსაჟი თბილისში, ნაპალაღვის ტარიტორიაზა

13 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა შესაბამის ორგანოებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ნებისმიერი საქმიანობის ფარგლებში, მკაცრად დაიცვან საკანონმდებლო აქტებით დაწესებული მოთხოვნები.

3.12. განსხიდაზა ტელეკომუნიკაიია „რუსთაჟი 2“-ის ქონაზის დაყადაღაზსთაფ დაკაჟირაზი

14 აგვისტო. სახალხო დამცველმა შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც ყადაღა დაადო შპს „სამაუნყებლო კომპანიია რუსთაჟი 2“-ის პარტნიორების ნილებს და მიაჩნია, რომ განჩინება სრულად არ პასუხობს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად განსაზღვრულ სტანდარტებს, რადგან არ არის დასაბუთებული სარჩელის უზრუნველყოფის ერთდროულად რამდენიმე ზომის გამოყენების აუცილებლობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, სასამართლომ არ განმარტა, რატომ არ შეიძლებოდა იმავე მიზნის მიღწევა მოპასუხის საკუთრების უფლების ნაკლები შეზღუდვით. ამასთან, უფლების ამ მოცულობით შეზღუდვა შესაძლოა შემაფერხებელი იყოს სამაუნყებლო კომპანიის ფუნქციონირებისათვის და შესაბამისად, ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისა და მედია თავისუფლებისათვის, მითუმეტეს, რომ სასამართლო დავის დასრულებას არაერთი თვე და შეიძლება წელიც დასჭირდეს.

აღნიშნული დავა კიდევ ერთი გამოცდაა საქართველოს მართლმსაჯულებისათვის, რადგან ერთმანეთს კვეთს საკუთრების უფლების, გამოხატვის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო დავის დამოუ-

კიდებელი და ობიექტური განხილვის პირობებში სანიმუშოდ გამჭვირვალედ, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების მაღალი სტანდარტის დაცვით წარმართვა.

3.13. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ბიორბი ოქროპირიძის საქმეზე

24 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც მას ბრალი ედება დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენაში, რომელსაც თან ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, ჩადენილი პირადი მოტივით და ცრუ ჩვენების მიცემაში, რომელსაც ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში მიმოხილულია ის საერთაშორისო სტანდარტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საერთო სასამართლოებმა მსგავსი საქმეების განხილვის დროს და რომელთა მიხედვით სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მინოდებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამო, პატიმრის პასუხისგებაში მიცემა, სახელმწიფოს მიერ, ეროვნული და საერთაშორისო ნორმებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა იქნება.

3.14. საინფორმაციო შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ პირებთან

24-26 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებთან-დევნილებთან.

შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ რეგიონებში მცხოვრები დევნილები არ ფლობენ ინფორმაციას იმ სიახლებსა და მოვლენებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. კვლავ პრობლემად რჩება წელი ტემპებით მიმდინარე საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი და ამა თუ იმ ობიექტში უმძიმესი საცხოვრებელი პირობები.

შეხვედრები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებით მოქმედი პროექტის, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირ-

თა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა პრობლემების გადასაჭრელად“ ფარგლებში ჩატარდა.

3.15. სახალხო დამცველის გამოსვლა აგზასადორიალზე

3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა აგზასადორიალის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს ელჩებს ადამიანის უფლებების სფეროში ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციებისა და გამომწვევების, ასევე სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის დეტალებზე მიაწვდინა ინფორმაცია.

სახალხო დამცველმა საგარეო უწყებასა და დიპლომატიურ მისიებთან ინფორმაციის გაზიარების და კომუნიკაციის არსების გაუმჯობესებაზე მიუთითა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და მათთან რეგულარული კომუნიკაციის ფორმატის შემუშავებაზე მზადყოფნა გამოთქვა.

3.16. სახალხო დამცველის შეხვედრაები თუშეთის მოსახლეობასთან

10 სექტემბერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მოადგილეებთან პაატა ბელთაძესა და ნათია კაციტაძესთან ერთად თუშეთში — **ომალოს, შენაქოსა და დართლოს მოსახლეობას შეხვდა.** მაღალმთიანი რეგიონის ძირითად პრობლემას საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ელექტროენერჯის და სასმელი წყლის მიწოდება, კანალიზაციის არ არსებობა და ნაგავსაყრელის საკითხი წარმოადგენს. კვლავ პრობლემურია სამედიცინო მომსახურების საკითხი, რადგან მთელ თუშეთში მხოლოდ ერთი ექიმი, ხოლო სოფლები ათეულობით კილომეტრითაა დაშორებული ერთმანეთისგან.



შეხვედრაები ომალოს, შენაქოსა და დართლოს მოსახლეობასთან

ამასთან, „მთის კანონით“ გათვალისწინებული შეღავათები მხოლოდ იმ პირებზე ვრცელდება, რომლებიც მთაში 9 თვეს სტაბილურად ატარებენ, თუშეთის მოსახლეობის უმრავლესობა კი, მკაცრი ზამთრის გამო, 5—6 თვეს საცხოვრებლად ბარში გადადის; სოფლებში ერთეული ოჯახები რჩებიან, თუმცა, გაუსაძლისი პირობები მიგრანტთა რიცხვს ყოველწლიურად ზრდის.



სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის მოადგილეები ახმეტის გაგზავლულ შეხვედრაზე და რეგიონის პრობლემები განიხილეს

11 სექტემბერს სახალხო დამცველი თუშეთის მოსახლეობის საჭიროებების განსახილველად **ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბექა ბაიდაურს შეხვდა.** სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობას და მიგრაციის პრობლემას, რაც საზღვრისპირა რეგიონისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. საუბარი შეეხო ასევე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც, რომელიც მოსახლეობის თქმით, მწყობრიდან არის გამოსული. გამგებლის განცხადებით, პრობლემების ნაწილი მისთვის ცნობილია, თუმცა მათ მოსაგვარებლად საჭირო თანხების მოძიება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

3.17. საქართველოს სახალხო დამცველის განსხაღვლა სამსახურიდან ბათაჟისუფლებული ორსული ქალბატონის საქმის წარმოების შესახებ

14 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ მიერ 2015 წლის **9 სექტემბერს** გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლებულმა 8 თვის ორსულმა ქალბატონმა განაცხადა, რომ თითქოს სახალხო დამცველი მისი საქმით არ დაინტერესებულა.

ქალბატონის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, **18 აგვისტოს** კახეთის რეგიონული ოფისის წარმომადგენელი დაუკავშირდა მას, მიიღო დეტალური ინფორმაცია, შედგა შესაბამისი ოქმი. **19 აგვისტოს** დამატები-

თი ინფორმაციის მოთხოვნით წერილი გაეგზავნა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს. **11 სექტემბერს** საქართველოს სახალხო დამცველი პირადად შეხვდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს და საუბრის ერთ—ერთი საკითხი სწორედ ამ ქალბატონის გათავისუფლებას შეეხებოდა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მედია ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიერ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ტენდენცია აზარალებს არამხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ არსებულ ნდობას, არამედ თავად იმ პირებსაც, რომელთა უფლებების დაცვაც სახალხო დამცველის მთავარი ღირებულებაა.

3.18. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

17 სექტემბერს გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილე, აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელები და მონვეული საკონსულტაციო საბჭოს წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მოკლედ მიმოიხილეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიში; ისაუბრეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერებისათვის აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე და სპეციალური პრევენციული ჯგუფის უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.

3.19. სახალხო დამცველის განსხაღვატა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ

18 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა გიორგი უგულავას მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს 16 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოყენების სამართლებრივი ფორმა. მან აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის თვითაღსრულებადი იურიდიული ბუნების მქონე და მისი გამოყენება საერთო სასამართლოებმა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებით უნდა შეაფასონ. შესაბამისად, გიორგი უგულავა ვერ გათავისუფლდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით, ამისთვის საჭირო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ემსჯელა და გამოეტანა გადაწყვეტილება, რაც განხორციელდა კიდეც 17 სექტემბერს.

საკონსტიტუციო სასამართლომ 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნას 9 თვეზე მეტი ვადით უშვებდა.

3.20. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC) ასამბლეასა და კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

22—24 სექტემბერს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელმა მათა გედევანიშვილმა ნიდერლანდების სამეფოში, ამსტერდამსა და ჰააგაში ჩატარებულ ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC) მე—19 გენერალური ასამბლეასა და კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. სახალხო დამცველის ოფისი 2001 წლიდან არის ამ ორგანიზაციის წევრი.

წელს კონფერენციის თემა იყო ბავშვის მიმართ ძალადობა. მომზადდა განცხადება ბავშვის მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრისკენ გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

ლონისძიებას ესწრებოდნენ ევროპის ბავშვთა ომბუდსმენები და გენერალური ომბუდსმენების წარმომადგენლები ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების აკადემიური წრეების წარმომადგენლები — ბავშვთა ფსიქოლოგები, განათლების სპეციალისტები, ფსიქიატრები, იურისტები; ასევე, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებში ქალბატონი მარტა სანტომ პაიში.



ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის ასამბლეა

სამუშაო შეხვედრებზე საქართველოს წარმომადგენელმა კოლეგებს ცენტრის მუშაობის მთავარი მიმართულებები და საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული ზოგადი მდგომარეობა გააცნო.

ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC) გენერალური ასამბლეამ აირჩია ორგანიზაციის მომავალი წლის თავმჯდომარე, ლიტვის ბავშვთა ომბუდსმენი ქალბატონი ედიტა ზიობინე.

**3.21. ანგარიში N7 კენიტიანური
დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ**

25 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N7 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ასახულია დაწესებულებაში ამჟამად არსებული მდგომარეობა და მის დახურვამდე, დროებითი ღონისძიების სახით, იმ კონკრეტული ზომების შეთავაზება, რომელთა დაუყოვნებლივ მიღება სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს, პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებლად მიაჩნია.

დაწესებულების გადატვირთულობა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, უსაფრთხოების ღონისძიებების გადაჭარბებული გამოყენების პრაქტიკა, არასათანადო სამედიცინო მომსახურება, სარეაბილიტაციო აქტივობების არარსებობა, ოჯახის წევრებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან შეზღუდული კონტაქტი შეუძლებელს ხდის პატიმრების მიერ სასჯელის მოხდას მათი ღირსების პატივისცემის პირობებში.



სახალხო დამსველმა და სასჯელაღსრულებისა და პროცესის მინისტრმა N7 კენიტიანური დაწესებულებაში არსებული ვითარება განიხილეს

23 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია სასჯელაღსრულებისა და პროცესის მინისტრს კახა კახიშვილს და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ და N7 დაწესებულებაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

**3.22. შეხვედრა საქართველოში
ევროსაბჭოს ოფისის
ხელმძღვანელთან**



საქართველოს სახალხო დამსველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამსველის მოადგილე ნათია კაციტაძე და საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ახალი ხელმძღვანელი კრისტინა ურსა

30 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მოადგილეები პაატა ბელთაძე და ნათია კაციტაძე საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ახალ ხელმძღვანელს კრისტინა ურსეს შეხვდნენ. შეხვედრაზე საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობაზე, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე, ევროსაბჭოს სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობის დადებით პრაქტიკაზე ისაუბრეს. მხარეებმა ის პროექტები განიხილეს, რომელთაც სახალხო დამცველის აპარატი წლების მანძილზე ევროსაბჭოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით ახორციელებდა. ასევე, სამომავლო თანამშრომლობის გადრმავების აუცილებლობასა და პერსპექტივებზეც ისაუბრეს.

**3.23. სპეციალური პრევენციული ჯგუფის
მონიტორინგი შინაგან საქმეთა
სამინისტროს უწყებებში**

ავგისტოსა და სექტემბერში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს 28 დროებითი მოთავსების იზოლატორი და 54 პოლიციის სამმართველო შეამოწმეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ თანამშრომლებს და შეამოწმეს 2015 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, პოლიციის თანამშრომლები გამოკითხულ იქნენ საგამოძიებო მოქმედებების

ჩატარების პროცედურის შესახებ. ჯგუფი ხელმძღვანელობდა წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით და პენიტენციური დაწესებულებებიდან მოპოვებული მონაცემებით.

3.24. სახალხო დამცველი ინტერპარტიულ ჯგუფს შეხვდა

30 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე ინტერპარტიული ჯგუფის წევრებს შეხვდნენ, რომლებმაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანიყვეტილების ფონზე, სახალხო დამცველს მარტვილსა და საგარეჯოში მიმდინარე შუალედური არჩევნებისა და ზოგადად, საარჩევნო სისტემის რეფორმირების შესახებ თავისი მოსაზრებები და ხედვები გააცნეს.



საკონსტიტუციო სასამართლომ 28 მაისის გადანიყვეტილებით, დააკმაყოფილა უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო ის მუხლი, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველთა რაოდენობის მიუხედავად, ყველა ოლქს პარლამენტში ერთი წარმომადგენელი ყავს.

4. წარმატებული საქმეები

4.1. აფხაზეთის ორი მკვიდრის მკურნალობას სახალხო დამცველი უზრუნველყოფს.

სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „რეფერალურმა კომისიამ“ **20 აგვისტოსა და 14 სექტემბრის** სხდომების გადანიყვეტილებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მ.ჭ-ს და ხ.ც-ს სრულად დაუფინანსა სამედიცინო მომსახურება.

4.2. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მარტოხალა ხანდაზმულთა პანსიონატში მოათავსეს

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, **24 აგვისტოს** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტომ საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხალა ხანდაზმულის კ.ც.—ს გადმოყვანა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვა უზრუნველყო.

4.3. სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად მოქალაქეს ბუნებრივი აირის უკანონო ღირებულება მოუხსნა

საქართველოს სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ **16 ივნისს** იმსჯელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობლის ვ.ი.-ის მიერ ბუნებრივი აირით დაუბრკოლებლად სარგებლობისა და სააბონენტო მრიცხველზე არსებული დარიცხვის გაუქმების საკითხზე.

კომისიამ არ განიხილა ვ.ი.-ის მიმართ „გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ შპს „ყაზტრანსგაზ—თბილისის“ დადგენილება და დაავალა „ყაზტრანსგაზს“ მოქალაქის სააბონენტო მრიცხველზე უსაფუძვლოდ მიჩნეული დარიცხვის (88,03 ლარის) გაუქმება.

4.4. სახალხო დამცველის ძალისხმევით, უსახლკარო შპშ პირი პანსიონატში ჩაირიცხა

17 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ე.ვ.—ს საჭიროებების შესახებ, რომელიც ბავშვობიდან იზრდებოდა სახელმწიფო ზრუნვის სხვადასხვა დაწესებულებაში. ბოლო პერიოდში დანიშნული ჰყავდა მზრუნველი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ—ერთ სოფელში, თუმცა არ ექცეოდა სათანადო ყურადღებას, სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა მისი შრომითი ექსპლოატაციის ფაქტს, რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა თერჯოლის მუნიციპალიტეტი. იგი გახდა უსახლკარო და ვერ ახერხებდა ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებას.

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური დაცვის დეპარტამენტს მიმართა.

განხორციელებული რეაგირების შედეგად მოქალაქე **20 აგვისტოს** მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს — თბილისის საბჭოს ერთპიროვნული გადანიყვეტილებით გადაუდებელი წესით ჩაირიცხა დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში.

4.5. მარტოხელა შშმ პირს სოციალური პაკეტი და საარსებო შემწეობა დაენიშნა

13 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ო.ს. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ერთ—ერთ სოფელში ცხოვრობს. მას ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური და ვერ ახერხებს დამოუკიდებლად საკუთარი თავის მოვლას. მოქალაქეს არ გააჩნია ელემენტარული საჭიროებების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრები.

სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის შედეგად ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკუთარი სახსრებით უზრუნველყო ო.ს.—ს გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, სტატუსის მინიჭების მიზნით. მას სექტემბრიდან დაენიშნა სოციალური პაკეტი და საარსებო შემწეობა. ხოლო, სავარძელ—ეტლის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია გაიგზავნა სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სამსახურში.

5. ღირსშესანიშნავი თარიღები

5.1. განსხვავება იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

30 აგვისტოს იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. საქართველოში გაუჩინარებულთა პრობლემა მტკივნეულად დგას; 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად 2 ათასამდე პირი ითვლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულად, მათ შორის დაახლოებით 1500 ეთნიკურად ქართველი, 200 ეთნიკურად აფხაზი და 100 ეთნიკურად ოსი, როგორც შეირადებული ისე სამოქალაქო პირი; ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ, 6 ეთნიკურად ოსი და 35 ეთნიკურად ქართველი.

საქართველოს სახალხო დამცველი პატივს მიაგებს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხსოვნას, უსამძიმრებს მათ ოჯახებსა და ახლობლებს და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ასევე, დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, არსებითად ითანამშრომლონ გაუჩინარებულთა მოძიებისა და მათი ოჯახების დახმარების მიზნით.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება.

5.2. განსხვავება მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

21 სექტემბერი მშვიდობის საერთაშორისო დღეა და ის ხალხთა შორის მშვიდობის იდეის გაძლიერებას და გავრცელებას ემსახურება. სახალხო დამცველი და მისი აპარატი უერთდება მშვიდობის საერთაშორისო დღეს.

სახალხო დამცველი მოუწოდებს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, შეუერთდნენ დღევანდელ დღეს და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა მათი საქმიანობის პრიორიტეტად აქციონ. სახალხო დამცველი ასევე მიმართავს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მედია ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ჯგუფებს საერთო ძალისხმევა მიმართონ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დასახმარებლად და ყოველდღიური ყოფის შესამსუბუქებლად და ამავე დროს, მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდონ ისეთ მგრძობიარე თემებს, რომლებიც კიდევ უფრო დაზარალებულ სიტუაციას და აუარესებს ხალხთა შორის ურთიერთობებს.

მშვიდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს სახალხო დამცველმა კინოს სახელში **ლიბანელი რეჟისორის ნადინე ლანაკის ფილმის - „საით მივდივართ ახლა?“** ჩვენებას უმასპინძლა. ფილმი სხვადასხვა აღმსარებლობის ქალთა და სასულიერო ლიდერთა როლზე მოგვითხრობს, რომლებიც ცდილობენ ლიბანის ერთ-ერთ სოფელში, დაპირისპირებულ თემებს შორის მზარდი კონფლიქტი აიცილონ.

ღონისძიება „აჭუაჭუ - ფონდი კულტურის განვითარებისთვის“ და „ეროვნულ კინემატოგრაფისტთა კავშირის“ მხარდამჭერით გაიმართა.

5.3. 28 სექტემბერი ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეა

ამ დღეს საქართველოს სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ერთ—ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად გამჭვირვალობის პრაქტიკაში უზრუნველყოფა უნდა მიიჩნიოს, ხოლო ინფორმაციის გაუცემლობის ყოველი ფაქტი გახდეს სათანადო დისკუსიის საგანი და შეფასდეს უმკაცრესად, ვინაიდან აღნიშნული უფლება დემოკრატიის ქვაკუთხედი და ხელისუფლების ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების გამოსატყულებაა.

ღია მმართველობის ინდექსის 2015 წლის მონაცემებით, საქართველომ მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 29—ე ადგილი დაიკავა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანას შორის — პირველი ადგილი. მოცემული ინდექსის ფარგლებში დანარჩენ კრიტერიუმებთან ერთად შეფასდა ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობა ქვეყანაში.

საქართველოს კონსტიტუციის 41—ე მუხლი ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას. ამის მიუხედავად, პრაქტიკაში აღნიშნული უფლების რეალიზება პრობლემატურია. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებები, თვითმართველობის ორგანოები დაუსაბუთებლად ამბობენ უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, დადგინდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის უკანონოდ თქმისათვის; შეიქმნას შესაბამისი მექანიზმი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. ასევე, განხორციელდეს ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიცირება.

6. საერთაშორისო სიხსლავი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

6.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იტალიის წინააღმდეგ

1 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ხლეფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ლამპედუსას კუნძულზე, კოლექტიური გადაწყვეტის მოლოდინში მყოფი ტუნისელი მიგრანტების ღირსების შემლახველ პირობებში უკანონო დაკავების გამო ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა.

საქმე ეხება, 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ დროს, იტალიის სანაპიროზე გადმომსხდარი უკანონო მიგრანტების დაკავებას ლამპედუსას კუნძულზე დროებითი განთავსების ცენტრში, შემდგომში პალერმოს ნავსადგომში შემოსულ ხომალდებზე, ისევე როგორც ტუნისში მათ რეპატრაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

მიიჩნია, რომ განმცხადებლების დაკავება იყო უკანონო. მათ არ ეცნობათ დაკავების მიზეზები, რისთვისაც არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველები. ასევე, განმცხადებლებს არ ქონდათ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. რაც შეეხება განმცხადებლების დაკავების პირობებს, სასამართლომ მხედველობაში მიიღო „არაბული გაზაფხულის“ ფონზე, კუნძულ ლამპედუსაზე არსებული განსაკუთრებული ჰუმანიტარული კრიზისი (იმ პერიოდში იტალიის საზღვრები 55, 298 მიგრანტმა გადმოკვეთა). ამისდა მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების დაკავების პირობებით შეილახა მათი პიროვნული ღირსება. თუმცა, აღნიშნული არ ეხება პალერმოს ნავსადგომში შემოსულ ხომალდებზე არსებულ მდგომარეობას.

გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლები გახდნენ კოლექტიური გამოძევების ობიექტები, რადგანაც გადაწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ ეხებოდა მათ ინდივიდუალურ მდგომარეობას. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საიდენტიფიკაციო პროცედურა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ განმცხადებლების შემთხვევა არ მიჩნეულიყო კოლექტიურ გამოძევებად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისთვის ტუნისელების დიდი რაოდენობა იტალიიდან ასეთი გამარტივებული პროცედურების საფუძველზე იქნა გაძევებული.

6.2. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს **10 სექტემბრის** გადაწყვეტილებით, დრო, რომელიც დასაქმებულს სამუშაო ადგილამდე მისვლისათვის და სახლში დაბრუნებისათვის სჭირდება, არის სამუშაო დრო.

საქმე ეხება იმ დასაქმებულებს, რომლებმაც ერთი კონკრეტული ან მუდმივი სამუშაო ადგილი არ აქვთ. მათ შორის არიან მომვლელები, ხელოსნები, გაყიდვების აგენტები. სასამართლოს აზრით, სამუშაო ადგილამდე მისვლისა და უკან ნამოსვლისთვის საჭირო დროის სამუშაო დროდ არმიჩნევა, ეწინააღმდეგება ევროპის კავშირის სამართლით განმტკიცებულ დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზანს.

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში საჩივარი წარადგინა ესპანეთის უმსხვილესმა პროფკავშირმა (Comisiones Obreras) — უსაფრთხოების სისტემის სამონტაჟო კომპანიის (ტისო ინტეგრირებული უსაფრთხოება) წინააღმდეგ.

სამუშაო ადგილამდე მისვლისა და უკან წამოსვლის დროს ტისო ამ დრომდე სამუშაო დროდ არ მიიჩნევა, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირის რეგულაციებს. გადანყვეტილების მიხედვით, კომპანიის თანამშრომელთა საცხოვრებელ სახლებსა და იმ ადგილებს შორის მანძილი, სადაც ისინი ასრულებენ სამუშაოს მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან — ის ზოგჯერ 100 კილომეტრს აღემატება, მანქანით მგზავრობის ხანგრძლივობა კი სამ საათს აღწევს.

გადანყვეტილების მიხედვით, სამუშაო დროის შესახებ ევროკავშირის 2003 წლის დირექტივა სამუშაო დროს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული მუშაობს, დამსაქმებლის მითითებების თანახმად ახორციელებს თავის საქმიანობას და მოვალეობებს, ეროვნული კანონმდებლობის ან/და პრაქტიკის შესაბამისად.

7. სახალხო დამცველის აპარატის ამბავი

7.1. გამოკითხვის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატი ნდობის თვალსაზრისით მესამე ადგილს იკავებს

24 აგვისტოს გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ სოციოლოგიურ გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. კითხვაზე „რომელ უწყებას/საზოგადოებრივ ინსტიტუტს ენდობით ყველაზე მეტად?“ - სახალხო დამცველმა მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს საპატრიარქოსა და მედიის შემდეგ.

საზოგადოების მხრიდან ასეთი მაღალი ნდობის გამოცხადება კიდევ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო დამცველის აპარატს და ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ინტენსიური მუშაობის გაგრძელების სტიმულს აძლევს.

7.2. ახალი თანამშრომლები

სექტემბრის თვიდან სახალხო დამცველის აპარატს რამდენიმე ახალი თანამშრომელი შეემატა. საბა ბრაჭველმა, მიხეილ ლოლაძემ და ლანა მოდებაძემ სისხლის სამართლის სპეციალისტად დაინიშნეს მუშაობა თბილისსა და ბათუმში.


ასევე, ახალმა სპეციალისტებმა დაიწყეს მუშაობა სახალხო დამცველის აპარატში არსებულ დევენილების პროექტში. ანა ქირია ზუგდიდში, სიმონ ასათიანი ბათუმში და ნიკა ბუზალაძე - თბილისში.

7.3. მომართვიანობის სტატისტიკა

აგვისტოს თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 667 განცხადება.


დასაშვებობის გავლის შემდეგ 560 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 1
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 40
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 267
- რეგიონული სამმართველო — 145
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 54
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 21
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 16
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 7
- თანასწორობის დეპარტამენტი — 8
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 1



აგვისტოს თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა:


- პატიმართა უფლებები — 270
- სამოქალაქო უფლებები — 12
- სოციალური უფლებები — 59
- ეკონომიკური უფლებები — 12
- სისხლის სამართლის საქმე — 107
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება — 6
- რელიგიური საკითხები — 1
- ბავშვის უფლებები — 46
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 19
- შშმ პირთა უფლებები — 14
- საკანონმდებლო საკითხი — 6
- დისკრიმინაცია — 6
- დამატებითი განცხადება და სხვა — 109



სექტორების თვეში სახალხო დამცველის აპარატი შემოვიდა 850 განცხადება.


დასაშვებობის გავლის შემდეგ 716 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 64
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 340
- რეგიონული სამმართველო — 245
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 25
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 17
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 4
- თანასწორობის დეპარტამენტი — 4
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 4



სექტორების თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პატიმართა უფლებები — 391
- სამოქალაქო უფლებები — 25
- პოლიტიკური უფლებები — 1
- სოციალური უფლებები — 136
- ეკონომიკური უფლებები — 15
- სისხლის სამართლის საქმე — 128
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება — 11
- რელიგიური საკითხები — 1
- ბავშვის უფლებები — 16
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 9
- შშმ პირთა უფლებები — 15
- საკანონმდებლო საკითხი — 4
- დისკრიმინაცია — 4
- დამატებითი განცხადება და სხვა — 94



10. კონტაქტი

თბილისი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
 ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
 ფაქსი: +99532 913841
 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქ. 9
 მობ.: 577 50 52 31
 ტელ.: 0422 27 05 44

ზუბდიდი:

კოსტავას 58
 მობ.: 577 50 52 34
 ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4
 მობ.: 577 12 27 70 ;
 577 12 27 71
 ტელ.: 0362 22 32 83

თლაკი:

ჩოლოყაშვილის ქ.36
 მობ.: 577 048267
 ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18
 მობ.: 577 55 33 81
 ტელ.: 0431 25 33 50

გორი:

სამების ქ. N1
 მობ.: 577 78 27 42
 ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:

რუსთაველის ქ. 51
 ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
 სარედაქციო კოლეგია:
 თამარ ხიდაშელი,
 ნიკო თათულაშვილი